ლადო გუდიაშვილის მოედანი №2

ნაგებობის ისტორიულ – მხატვრული რეზიუმე



თბილისი

2007

შესავალი

ლადო გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობა ტრადიციული თბილისური საცხოვრებლის მნიშვნელოვანი მაგალითია, რომელსაც გვერდს ვერ უვლის ქალაქის კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი დღემდე გამოქვეყნებული ვერც ერთი ვრცელი, თუ მცირე პუბლიკაცია, თუმცა სპეციალური კვლევის საგნად შენობა ჯერ არ გამხდარა.



ქართული ხელოვნების განვითარებისადმი მიძღვნილ 1936 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი ზოგადად ახასიათებენ ნაგებობას და აღნიშნავენ, რომ გარკვეული სახით ეს არის სხვადასხვა დროს აგებული შენობების გამთლიანებით შექმნილი ანსამბლი. კერძოდ, შენობის მარჯვენა ნაწილი, რომელიც შესაძლოა, კომენდანტის სახლს წარმოადგენდა, უფრო ადრინდელია. მთლიანობაში შენობა წარმოადგენს კლასიცისტური და აღმოსავლური ხუროთმოძღვრული ელემენტების საოცარ ნაზავს, რის შედეგადაც მიღებულია სრულიად ორიგინალური და ინდივიდუალური მხატვრული გადაწყვეტა. ავტორების აზრით ნაგებობა აკადემიურად განსწავლული არქიტექტორის მიერ უნდა იყოს აგებული,

რომელმაც ტრადიციას და დამკვეთის მოთხოვნებს გაუწია ანგარიში.[1] საინტერესო აგრეთვე, რომ, არსებობს არქიტექტორ ნ. სევეროვის მიერ შესრულებული (1930 წელს) ამ შენობის ანაზომები, რომლებიც 1935 წელს თბილისში მოწყობილ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი.



1946 წელს გამოცემულ თბილისისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში შესულ წერილში XIX ს-ის I ნახევრის შენობის მხატვრულ სახეზე საუბრობს ნ. ბადრიაშვილი და ხაზს უსვამს აქ გამოყენებული აღმოსავლური და დასავლური ფორმების ჰარმონიულ შერწყმას.[2]

1958 წელს გამოცემულ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ვ. ცინცაძე თბილისური საცხოვრებლის ეზოს განხილვისას მოკლედ ახასიათებს ამ შენობის ეზოს კომპოზიციას, აქვე ჩერდება სახლის გამორჩეულ მხატვრულ ღირებულებაზე.[3]

1958 წელს დასტამბულ თბილისის ხუროთმოძვრულ გზამკვლევში გუდიაშვილის მოედანი №2 შენობის შესახებ ნათქვამია, რომ მისი მარჯვენა, უადრესი ნაწილი 1830-იან წლებშია აგებული, ხოლო საბოლოო სახე ნაგებობამ

---

[1] Г.Н. Чубинашвили, Н.П. Северов, Пути развитии грузинской архитектуры, в книге - Вопросы истории исскуства, т, II, Тб. 2002, стр. 31

[2]. თბილისი, საიუბილეო კრებული, ნ. ბადრიაშვილი, მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1946, გვ.173

[3]. Цинцадзе В., Тбилиси, Тб., 1958 , გვ. 100

XIX საუკუნის 40–50-იან წლებში მიიღო. 1840-იან წლებში ამ შენობაში ჰაუპტვახტი იყო განთავსებული, სადაც ცხოვრობდა რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი, ვის საპატივსაცემოდაც ქუჩას, რომელიც ლ. გუდიაშვილის მოედნიდან იღებს სათავეს, ლერმონტოვის ქუჩა შეერქვა.[4]

თბილისის ხუროთმოძღვრებისადმი მიზღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომში ვახტანგ ბერიძე გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობის მარჯვენა ნაწილის თარიღად 1830-იან წლებს ასახელებს, ხოლო მარცხენა ნაწილს არაუგვიანეს 1850-იან წლებს მიაკუთვნებს.[5] შენობის ამგვარი დათარიღება, ნაგებობის მხატვრული ღირებულების ზოგად შეფასებასთან ერთად, გამეორებულია შემდეგდროინდელ პუბლიკაციებში.

თბილისისადმი მიძღვნილ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ ლ. გუდიაშვილის მოედანზე რუსული ჯარის ოფიცერთა სასტუმრო და ჰაუპტვახტი იყო განლაგებული და გადმოცემით ამ სასტუმროში, თბილისში ყოფნის დროს ცხოვრობდა მ. ლერმონტოვი.[6] თენგიზ კვირკველიას მიხედვით ახლანდელ გუდიაშვილის მოედანს მაშინ აბას აბადის მოედანი ერქვა. ეს სახელწოდება მოედანს შეერქვა 1827 წელს, რუსთა ჯარის მიერ აბას-აბადის ციხე-სიმაგრის აღების საპატივსაცემოდ.[7]

მ. მანია ეხება რა თბილისის ეზოებს, როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს, ამ შენობის ეზოს დახასიათებასაც იძლევა და მას გახსნილი ტიპს მიაკუთვნებს.[8] ავტორი ამ შენობას შემდგომშიც უბრუნდება და სარდაფების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისური საცხოვრებელი სახლების საინტერესო სარდაფების რიცხვს მიეკუთვნება.[9]

ლადო გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობის მდებარეობა

ლადო გუდიაშვილის მოედანი მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში – ქვემო კალაში. იგი თავს უყრის არაერთ ქუჩასა და ჩიხს. აქ სათავეს იღებს მიხეილ ლერმონტოვის, აბო თბილელის (ყოფილი ,,Большая крывая,, , მ. კაშენი) ბ. ახოსპირელის ქუჩები და ახოსპირელის ჩიხები (ყოფილი მოღნინი);

---

[4]. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოზღვრული გზამკვლევი, თბ., 1958, გვ.174

[5]. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ. 1960, გვ., 105

[6] თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002, გვ. 205

[7] თენგიზ კვირკველია, ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, თბ/. 1989, გვ.42

[8]. მ. მანია, ეზო, როგორც თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, მაცნე, საქ. ისტ. არქეოლ. ეთნოგრ. და ხელ. ისტორიის სერია, №1, 1989, გვ.107–116

[9]. მაია მანია, ძველი თბილისის სარდაფები, საქართველოს სიძველენი, №3, თბ., 2003, გვ.152

მოედანთან სრულდება აგრეთვე გია აბესაძის ქუჩა (ყოფილი კათოლიკების, შემდეგ I მაისის).

სწორკუთხა მოყვანილობის საკმაოდ მოზრდილი მოედნის შუაგული სკვერს უკავია, რომელსაც ესაზღვრება ძირითადად XIX ს-ის II ნახევარში აგებული ორ-სამ სართულიანი მხატვრულ-ისტორიულად მეტად ღირებული საცხოვრებელი სახლები, რომელთა ერთობლიობა ხუროთმოძღვრულ ანსამბლს აყალიბებს. ამ ფონზე სიძველით, მხატვრული და ურბანული მნიშვნელობით გამოირჩევა მ. ლერმონტოვის ქუჩისა და ლ. გუდიაშვილის მოედნის კუთხეში მდგარი ნაგებობა, რომელიც ფართო ფრონტით გამოდის მოედნისკენ.

ლ. გუდიაშვილის მოედნის ჩამოყალიბება თბილისის ძველი გეგმების მიხედვით

ის ადგილი, სადაც დღეს ლ. გუდიაშვილის მოედანია, შუა საუკუნეებში ქალაქის ზღუდის შიგნით, მჭიდროდ გაშენებულ უბანში მდებარეობდა. ჩვენხ ხელთ არსებულ ვახუშტი ბატონიშვილისეულ თბილისის უძველეს გეგმაზე, რომელიც სქემატურად ასახავს XVIII ს-ის 30-იანი წლების თბილისის განაშენიანებას, დაახლოებით ამ მიდამოებში მონიშნულია ტრაპეციისებური მოხაზულობის მოედანი. შესაძლოა, ეს ლ. გუდიაშვილის მოედნის ჩანასახი იყოს (იხ. სურ.1).

XVIII ს-ის ბოლოს შესრულებულ გეგმებზე მოედანი ნათლად არ იკითხება.

1800 წლის გეგმაზე ახლანდელი ლ. გუდიაშვილის მოედნის მიდამოებში ქუჩებით ისაზღვრება დიდი, სამკუთხედისებრი მოყვანილობის ტერიტორია, რომელსაც ერთმანეთის პარალელურად განთავსებული ჩიხები უკავშირდება. ქუჩებისა და ჩიხების ეს რთული ქსელი დღემდე თითქმის უცვლელადაა შენარჩუნებული, არ ჩანს მხოლოდ სამხრეთის მხრიდან მოედნის მოსაზღვრე ქუჩა. 1809 წლის გეგმაზე ეს ქუჩა უკვე გამოკვეთილია.

1821 წლის გეგმაზე განაშენიანებით გარემოცული მოედნის ადგილი თავისუფალია, თუმცა მისი კონფიგურაცია დღევანდელისგან ოდნავ განსხვავებულია – გაუნაშენიანებელია ოთხკუთხა მოხაზულობის მოედნის დასავლეთის კუთხე, სადაც დღეს მ. ლერმონტოვის ქუჩის დასაწყისია.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1844 წლის გეგმა, სადაც ლ. გუდიაშვილის მოედანი თავისი მიმდებარე ქუჩებითა და ჩიხების ქსელით საბოლოოდაა ჩამოყალიბებული და მისი კონფიგურაცია სავსებით შეესაბამება დღევანდელ

ვითარებას. ამ გეგმაზე, ციფრით – 62, როგორც „აბას-აბადის ჰაუპტვახტის შენობა", აღნიშნულია გუდიაშვილის მოედანზე მდგარ №2 ნაგებობა.



თბილისის 1844 წლის გეგმა

ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 შენობის აღწერა

ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 თბილისის იმ რთულ შენობათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ხუროთმოძღვრული კომპოზიცია სხვადასხვა დროის სამ ნაგებობას აერთიანებს. ორსართულიანი შენობები, რომლებიც სარდაფებსაც მოიცავს, სამი მხრიდან შემოუყვება ქუჩის მხარეს დაბალი გალავნით გამოყოფილ ეზოს. მათ შორის უადრესი უნდა იყოს შენობის მარჯვენა ნაწილი.

სახლი ძველი, კვადრატული აგურით არის აშენებული. ფასადები შელესილია, პროფილები აგურის წყობითა და სქელი ნალესობითაა გამოყვანილი. აივნების კონსტრუქციები და დეკორაციული ელემენტები ძირითადად ხისაა, გამონაკლისს წარმოადგენს მარჯვენა ნაწილის I სართულის ვერანდა-აივნის მასიური ქვის კოლონები.

შენობის მარჯვენა ნაწილის გეგმის მოხაზულობა კვადრატს უახლოვდება. სათავსები ორ რიგადაა დალაგებული. პირველ სართულს მთელ სიგრძეზე ქვის მრგვალ კოლონებიანი ვერანდა გაუყვება. მასიურ ქვაში გამოთლილ ოთხ სვეტს წახნაგონოვანი სიბრტყეებით დამუშავებული ბაზისი და კაპიტელი აქვს, რაც მთლიანად, კლასიცისტურ სტილს ეხმიანება. სვეტებს შორის ლითონის აჟურული მოაჯირის ჩანართებია. ვერანდაზე გამომავალი ოთხი სწორკუთხა

მოხაზულობის ფანჯარა ნალესობაში გამოყვანილი საჭექი ქვით გაფორმებული თავსართებით სრულდება.





ვერანდის მარცხენა კუთხეში არსებული ქვის ოთხსაფეხურიანი კიბე კარს უკავშირდება, საიდანაც შესაძლებელია ქუჩის მხარეს არსებულ დარბაზში მოხვედრა. ზემოხსენებული, ვერანდისკენ გამავალი სწორკუთხა ფანჯრების შიგნით გაფართოებული წირთხლები ზედა კუთხეებში მომრგვალებულ ფორმას იძენს. დარბაზის დასავლეთ კედელში სიმეტრიულადაა განლაგებული ორი ღრმა, იატაკიდანვე დაწყებული სწორკუთხა განჯინა, ხოლო მათ შორის არეში რთული მოყვანილობის, კილიანი თაღით გახსნილი ბუხარია ჩასმული.



დარბაზს უკანა რიგის ყრუ კედლით გაყოფილ ორ, მცირე ზომის ოთახთან ბრტყელთაღიანი კარის ღიობები აკავშირებს. მარცხენა სათავსში შესვლა ეზოს მხარეს არსებული აივნიდანაც არის შესაძლებელი.

შენობის მარჯვენა ნაწილის II სართულის გეგმა ძირითადად იმეორებს ქვემო სართულის დანაწევრებას, ქუჩის მხარეს აქაც ერთიანი დარბაზია, ხოლო უკან – ორი ოთახი, თუმცა მათი გამტიხრავი კედლის მდებარეობა ერთმანეთს აცდენილია. განსხვავებულია სათავსების შიდა დამუშავებაც. დარბაზის ნაპირა კედლები ორ-ორი მაღალი, სწორკუთხა ნიშით არის დანაწევრებული. აივნისკენ გამავალი ღიობების გარე და შიდა მოყვანილობა I სართულის იდენტურია.



გარედან ღიობები დასრულებულია მძლავრი, პროფილირებული არქ-ივოლტებით, მათ ძირშიც პროფი-ლირებული სარტყელი გასდევს, რის გამოც ღიობებს შორის არეებში პილას-ტრისებრი სიბრტყეები გამოიყოფა.

II სართულის გადახურული აივანზე არათანაბარი მანძილით და-შორებული ხის ექვსი „დორიული” სვეტია ჩარიგებული. შუა არეში სვეტებს შორის არსებული ფართო მონაკვეთები ბალიასინებიანი მოაჯირითაა მოზღუ-დული, ხოლო კიდეებში შექმნილ ვიწრო ნაწილებს მუშარაბები ავსებს.

დარბაზი უკანა მარჯვენა, შე-დარებით მოზრდილ ოთახს ფართო თაღით უკავშირდება, ხოლო მარცხენა სათავსს – ბრტყელთაღიანი ვიწრო გასასვლელით. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი, განიერი, ორფრთიანი კარი აქვს ეზოს მხარეს არსებული აივნიდან. შესასვლელის პირდაპირ, ორი ოთახის გამყოფ კედელში თაღოვანი ნიშებია. ეს ოთახი უკანა კედელში გაჭრილი გასასვლელით უკავშირდება შენობის პერიმეტრიდან გასულ, ირეგულარული გეგმის სათავსს. შესასვლელიდან მარჯვნივ ოდნავ წინ გამოსული სწორკუთხაღიობიანი ბუხარია ამოყვანილი, რომელიც ჭერამდე არ აღწევს და შუა ნაწილში პროფილირებული თაროთია გაფორმებული. მის გვერდით ბრტყელთაღიანი მაღალი თახჩაა გამართული.

შენობის მარჯვენა ნაწილის სარდაფი, რომელიც ნაწილობრივ ექცევა მიწის ზემოთ, მთლიანად იკავებს შენობის პერიმეტრს, ვერანდის ჩათვლით და

გეგმარებასაც იმეორებს, უკანა რიგის სათავსის გაყოფის გარეშე. სარდაფში ჩასვლა შესაძლებელია ეზოს მხრიდან მოწყობილი დამრეცი კიბით.



საბჯენი თაღებით დასახსრული სარდაფის კამაროვანი სათავსების კედლები შეულესავი აგურისაა, წყობა ზუსტი და დახვეწილია. კამარაში აგურის წყობით გამოყვანილია კონცენტრული მართკუთხედები, რაც კონსტრუქციულ გადაწყვეტასთან ერთად გარკვეულ მხატვრულ ეფექტსაც ახდენს.

ნახევარწრიული მოყვანილობის, ერთსაფეხურიანი საბჯენი თაღები ეყრდნობა თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან შემდგარ კაპიტელებს. კედლები აღჭურვილია თაღოვანი ნიშებით. სარდაფის ქუჩის მხარეს არსებული სათავსის კამარის არეში გაჭრილ სწორკუთხა, განივ ღიობებს, რომლებიც ვერანდისკენ გადის, მკვეთრად გაფრთოებული ზედა და ქვედა წირთხლები აქვს. სარკმლის ზედა წირთხლის კიდეში თავხეა ჩაყოლებული. ვერანდის ქვეშ არსებული სარდაფის სივრცე ამჟამად შეუღწევადია. ამ სათავს ორი განივი სარკმელი აქვს, რომელიც ქუჩის მხრიდანაც იკითხება. სარდაფის უკანა რიგის სადგომი ნათდება ეზოსკენ მიმართული წყვილი სარკმლით.

შენობის მარჯვენა ნაწილს ასრულებს ორფერდა სახურავით დახურული მაღალი სხვენი, რომლის წინა მხარე ვიწრო ღიობებით გახსნილი კედლით გადის მოედნისკენ.

შენობის მარცხენა ნაწილში არსებულ კვადრატს მიახლოებული გეგმის ერთადერთ ოთახს შესასვლელი ეზოს მხარეს არსებული აივნიდან აქვს. გარდა უკანა კედლისა სათავსი ორივე სართულზე ყოველი მხრიდან სწორკუთხა მოხაზულობის ფართო ღიობებითაა გახსნილი – მოედნისკენ ორივე სართულზე სამ-სამი, ხოლო მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ მეორე სართულზე ორი ფანჯარაა, ხოლო მის ქვევით ამჟამად სამი ცრუ სარკმელია. ამავე ფასადის მარცხენა კუთხესთან, ცოკოლის სართულში, ჩამოცვენილი ნალესობის ქვეშ ჩანს

ვერტიკალურად დალაგებული აგურების ჩანართი, რაც შესაძლოა, ამოქოლილ ღიობზე მიგვანიშნებდეს.

გარდა კარისა, ყველა ღიობის გვერდითი წირთხლები შიგნით განიერდება. საფასადო კედლებს I სართულზე მხოლოდ ფანჯრების ძირში გაყოლებული თაროს პროფილის სარტყელი გასდევს, რასაც II სართულზე ღიობების დამასრულებელი, ნალესობაში გამოყვანილი, პროფილირებული არქივოლტები ემატება.



ამავე სართულზე ოთახს სამი მხრიდან გარს უვლის მძლავრ ხის კრონშტეინებზე შეკიდული ჭვირულმოაჯირიანი, გადახურული აივანი. არათანაბარი მანძილით დაშორებულ, წახნაგებზე ლილვებაყოლებულ სვეტებს შორის ნახევარწრიული და შეისრული ფორმის აჟურული თაღოვანი ჩანართებია. საყურადღებოა, II სართულზე, ეზოს მხარეს არსებულ კედელში დატანებული გეგმით ნახევარწრიული ნიშა, რომლის თაღში ლითონის მოძრავი საკიდია ჩასმული (შესაძლოა, ზარის საკიდი).

შენობის მარცხენა ნაწილის სარდაფშიც ეზოდან შეიძლება ჩასვლა. ამ სათავსის კედლებიც შეულესავი აგურისაა. ბრტყელი ჭერი ეყრდნობა სამცენტრიან თაღებს; კედლები დანაწევრებულია თაღოვანი ნიშებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი სამშენებლო, თუ დეკორაციული ხერხი, რაც კედლის წყობისათვის ნახევარი აგურის სისქის დამატებაში მდგომარეობს.

მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ მიმართულ კედელში არსებული თაღოვანი ნიშების ზემოთ, ვერტიკალურად დაყენებული ნახევარი აგურის ფრიზია კედლის წყობაში ჩართული. მის ზემოთ, მეორე რეგისტრში – ცერად დალაგებული აგურის წყობით გამოყვანილი დეკორაციული ზოლები, ისეთივე როგორიც ფასადზე ჩანს. ეს უკანასკნელი ამოშენებულ ღიობს, ან ცრუ სარკმელს უნდა მონიშნავდეს თავსა და ბოლოში. აღსანიშნავია, რომ შევსება ფერითაცაა გამოყოფილი კედლის ძირითადი წყობისაგან. სათავსის ჭერზე კონცენტრულად დალაგებული აგურის სწორკუთხედებია გამოყვანილი.



ფასადის მხარეს არსებული სამი განივი სარკმელი მკვეთრად დახრილი ქვედა წირთხლით იხსნება ინტერიერში. ამავე მხარეს, შუა სარკმლის ქვეშ, სილიკატური აგურით ამოშენებული ღიობი ჩანს. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ადაპტაციის განყოფილებაში 1980-იან წლებში შესრულებული ანაზომის მიხედვით ირკვევა, რომ სარდაფის აღწერილი სადგომის წინ არის კიდევ ერთი პატარა სათავსი, რომელიც ამჟამად ტროტუარის ქვეშაა მოქცეული და შეუღწევადია.

შენობის ეზოს სიღრმეში განთავსებული წაგრძელებული გეგმის მქონე მონაკვეთი აკავშირებს შენობის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს. რელიეფის გამო იგი თითქმის სამსართულინია. ქვედა სართული ხის მრგვალი, „დორიულ” სვეტებიანი დერეფნით უკავშირდება ეზოს. ზემოთ, ორ სართულზე ამართული, წახნაგებზე ლილვებაყოლებული ხუთი მწყობრი სვეტი გასდევს აივანს. ეზოს მხარეს ორ იარუსად განლაგებული ოთხ-ოთხი თაღოვანი ღიობები გამოდის, რომელთა ფრამუგას სამ ნაწილიანი ალათები აქვს. დაბალჭერიანი I სართულის ღიობები სწორკუთხა მოხაზულობისაა.

ლ. გუდიაშვილის მოედანზე მდგარი №2 ნაგებობის ზემოთ აღწერილი სამი ნაწილი ეზოს მხრიდან აივნების და სხვადასხვა დონეებზე განლაგებული კიბეების სისტემით არის გაერთიანებული. განსხვავებული სამშენებლო

პერიოდისა და მხატვრული გადაწყვეტის მქონე დამოუკიდებელი ნაგებობები სწორედ ამით არის კომპოზიციურად შეკრული.



მოედნის მხრიდან ეზოს სილიკატური აგურით ამოყვანილი ზღუდე აქვს. მის კიდეებში შენობის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებთან დამაკავშირებელ აივნებზე გამავალი სწორკუთხა კარებია, რომელთა წინ გამართული ქვის კიბეებია გამართული.

ზღუდის შუა, საფეხუროვანი კარნიზით დასრულებული ფართო მონაკვეთი უკავია თაღოვან ღიობს, სადაც ხის ძელაკებით შეკრული ფანერის ჭიშკარია ჩასმული. ზღუდის მარცხენა ნაწილი ლითონის გისოსებით შევსებული ღიობითაა გახსნილი.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ეზოს საერთო კომპოზიციის ჩამოყალიბების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ქვისგან გამოკვეთილი მრგვალი, დაბალი კოლონა, რომელიც მასალითა და შემადგენელი ელემენტების დამუშავებით ეხმიანება ძველი, მარჯვენა შენობის კოლონადას.

ნაგებობის ზოგადი მხატვრულ-ისტორიული შეფასება და თარიღი

ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობა დროის მცირე შუალედით დაშორებული შენობებისაგან შემდგარ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს წარმოადგენს, სადაც მნიშვნელოვანია, როგორც ცალკე აღებული თითოეული ნაგებობა, ასევე, – კომპოზიციურად და ერთი მხატვრული იდეით შეკრული, დასრულებული ხუროთმოძღვრული ბირთვი, რომელსაც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც რაიმეს შემატებ. ამგვარი სრულყოფილების მიღწევა, რა თქმა უნდა

მშენებლის დამსახურებაა, მაგრამ ამასთან ერთად, ქართული საცხოვრებელის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისაც, რომელიც ყოველთვის ითვისებდა და საკუთარ გამოცდილებას უხამებდა უცხო ქვეყნებიდან შემოსულ ტენდენციებს.

ადგილობრივი ტრადიციული ფორმებისა და შემოტანილი და გათავისებული არქიტექტურული, თუ დეკორაციული ელემენტების შერწყმის შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითავალოს ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობა, სადაც ქვედა სართულის ვერანდა-აივნის ქვის მასიურ კლასიცისტურ კოლონებს ჰარმონიულად ეხამება II სართულის, ნაპირებში აღმოსავლური მუშარაბებით შევსებული თბილისური აივანი მრგვალი ხის სვეტებით და რიკულებით. XX ს-ისა შუა წლების ფოტოზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ჩანს მუშარაბების ფერადი მინები.



შენობა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით, გეგმარების, ეზოს სტრუქტურისა და დეკორაციული მორთულობის მიხედვით, არ გადმოდის XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მისი მარჯვენა ნაწილი მცირე დროით (ორი-სამი ათეული წელი) ადრე უნდა იყოს აგებული სხვებთან შედარებით.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 ნაგებობის სამივე ნაწილს თავდაპირველად თბილისური საცხოვრებლისთვის

მეტად დამახასიათებელი ბანიანი, ბრტყელი გადახურვები ჰქონდა. მოგვიანებით ამ შენობის ბანი, ისევე როგორც თბილისის არაერთ საცხოვრებელ სახლში, ქანობიანმა სახურავმა შეცვალა.

ნაგებობა მიყვება ქართული ტრადიციული საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი თავისებურებებს:

1. შენობის გახსნილი ხასიათი, რაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქუჩისკენ მიმართული ეზო, გადასასვლელებისა და აივნების სისტემა
2. კლასიცისტური, ადგილობრივი და აღმოსავლური ხუროთმოძღვრული ელემენტების შერწყმა და ამ თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებადი მიმდინარეობების მხატვრულად შეკვრა
3. ურბანული მომენტის გათვალისწინება, რაც გარემოსათვის ანგარიშის გაწევაში ვლინდება
4. შენობის ცალკეული ნაწილების პროპორციული შეხამება

ჩვენ საკვლევ შენობასთან დაკავშირებით ყოველივე ამას ემატება კარგი სამშენებლო ოსტატობა. ნაგებობის მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ საბოლოო სახით ჩამოყალიბების (იგულისხმება ნაგებობათა გამთლიანება) შემდეგ მას მნიშვნელოვანი ცვლილებები თითქმის არ განუცდია. თუმცა ეზოს მხარეს მიმართული ფასადების, კიბე-გადასასვლელებისა და მოაჯირების დამუშავებამ არაერთგზის იცვალა სახე: აღარ არსებობს 1930 წელს ნ. სევეროვის ანაზომში დაფიქსირებული მარჯვენა შენობის II სართულთან დამაკავშირებელი ხვეული კიბე ეზოში, შენობის ამავე ნაწილში არსებული აივნის რიკულები შეცვლილია აჟურული მოაჯირით, ასევე შეიცვალა რიკულები აჟურული მოაჯირით შენობის მარცხენა ნაწილის აივანზე, მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ მიმართულ ფასადზე დღეს ამოშენებულია I სართულის ფანჯრის ღიობები და სხვა.

1980-იან წლებში ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 შენობაზე გარკვეული ხარვეზებით ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. არ გაეწია ანგარიში ავთენტურ, ტრადიციულ მასალას – ძველ აგურს და მის ნაცვლად დაზიანებული კედლების აღდგენისას გამოყენებული იქნა თეთრი, სილიკატური აგური და ცემენტის ხსნარი; მოიშალა ეზოში არსებული ხვეული კიბე; შუა შენობის ფანჯრების ფრამუგების რკალური დანაწევრება შეცვალა ხისტმა, სწორხაზოვანმა დაყოფამ; რკინის ნაჭედი მოაჯირების ნაცვლად ვერანდა-აივანს გაუკეთდა ლითონის ფირფიტების ხვეულებით შედგენილი მოაჯირი; ეზოს ზღუდის ღიობის შემავსებელი მსუბუქი აჟურული ცხაური შეიცვალა უცხო

მოტივის, უხეში ფორმის ლითონის ღობით; აქვე, ხის ჭიშკარმა შეცვალა რკინის ჩარჩოში ჩასმულმა ფანების ჭიშკარმა.

მიუხედავად სხვადასხვა პერიოდის დანაკარგებისა შენობას შენარჩუნებული აქვს არქიტექტურულ-მხატვრული თავისთავადობა, ისტორიული და ურბანული მნიშვნელობა.

ხელოვნებათმცოდნეები – მანანა სურამელაშვილი
ციცინო ჩაჩხუნაშვილი

დეკემბერი, 2007 წელი

.